

სილაბუსი

| | |
|------------------------------|--|
| სასწავლო კურსის დასახელება | მეცნიერების მენეჯმენტი |
| სასწავლო კურსის კოდი | |
| სასწავლო კურსის სტატუსი | დოქტორანტურა, არჩევითი (უნივერსიტეტში მოქმედი ყველა სადოქტორო პროგრამის სტუდენტისთვის). |
| სასწავლო კურსის ხანგრძლივობა | ერთი სემესტრი (15 კვირა). |
| ECTS | 5 კრედიტი (კვირაში სამი საათი: 1 ლექცია + 2 სემინარი) = 125 სთ. საკონტაქტო მუშაობა: 45 საათი დამოუკიდებელი მუშაობა: 80 საათი. |
| ლექტორები | გიორგი ღვედაშვილი - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; ტელ: 222 473; e-mail: giorgi.ghvedashvili@tsu.ge თამარ გოგუა - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი; ტელ: 222 473; e-mail: tgogua@laetsu.org ლელა კვინიკაძე - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი; ტელ: 222 473; e-mail: lela.kvinikadze@tsu.ge |
| სასწავლო კურსის მიზანი | დაეხმაროს დოქტორანტს გახდეს მაღალკვალიფიციური მკვლევარი; განუვითაროს მას უნარი მასშტაბურად შეხედოს თავის პროფესიას, მის წინ მდგარ კვლევით ამოცანებს, დაეხმაროს მას ნებისმიერი კვლევის თანმხლები თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებაში; შესძინოს სამეცნიერო ჯგუფის ლიდერისათვის საჭირო ჩვევები; მიაწოდოს მეცნიერების მართვის ელემენტები; გაეცნოს სამეცნიერო პროდუქტის კომერციალიზაციისთვის აუცილებელ ზოგად წინაპირობებს; შეუქმნას წარმოდგენა კვლევასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე. კურსმა მსემენელს უნდა განუვითაროს სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან კომუნიკაციისა და საკუთარი კვლევის შედეგების წარმოჩენის უნარი. დოქტორანტს საშუალება მიეცემა გაეცნოს სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ხელშემწყობი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის პრინციპს და აითვისოს საგრანტო პროექტების, სამეცნიერო პუბლიკაციების |

| | |
|--|---|
| | შედგენის საკვანძო მომენტები. |
| სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები | სასწავლო კურსს არ გააჩნია შესწავლის წინაპირობები. საკმარისია თსუ დოქტორანტის სტატუსი. |
| სასწავლო კურსის ფორმატი | 15 ლექცია, 30 სემინარი. |
| სასწავლო კურსის შინაარსი | იხ. დანართი. |
| შეფასება | <p>დასწრება – 10 % I პრეზენტაცია – 15 % II პრეზენტაცია – 15% პრაქტიკული დავალებები – 20% საბოლოო გამოცდა – 40 %, საბოლოო შეფასება: 100 %</p> <p>სტუდენტის გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტის შუალედური შეფასება, სემესტრში გაწეული მუშაობიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს 30-ზე ნაკლები.</p> |
| სავალდებულო ლიტერატურა | <ol style="list-style-type: none"> http://www.sakpatenti.org/ge/ http://wipo.int/portal/index.html.en http://www.iteam.ru/ http://europeanchoice.ge/science/20-inteleqti.html http://thomsonscientific.com/ http://springerlink.com/home/main.mpx Гусев В. А., „ВВЕДЕНИЕ В ИННОВАЦИОННУЮ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ“ - Центр развития малого бизнеса - «Харьковские технологии» - 2007. Цыбулев П.Н. „Маркетинг интеллектуальной собственности“ - К.: Ин-т. интел. собств. и права. 2006. E. Jerome McCarthy, William D. Perreault. “Basic Marketing” – Eleventh Edition. |

| # | ლექცია-სემინარის თემა |
|----|--|
| 1 | კვლევის შეფასების ინდიკატორები (პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან/რეფერირებად გამოცემებში, ციტაციის კოეფიციენტი, პატენტები, მოხსენებები სამეცნიერო ფორუმებზე, მოზიდული საგრანტო და სხვა სახის სახსრები და ა.შ. საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოყენება). |
| 2 | ლექცია: კარიერის მოწყობა (საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის ადექვატური გადაცემა; CV-ის ფორმები, სააპლიკაციო დოკუმენტების შევსება, საკარიერო ინტერვიუები). (პრაქტიკული დავალება: CV-ის მომზადება, საკარიერო აპლიკაციების მომზადება). |
| 3 | ლექცია: სამეცნიერო კვლევების ხელშემწყობი ფონდები (ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდები, მათი სპეციფიკების დახასიათება. შეფასების პრინციპები და დაფინანსების სქემები). |
| 4 | ლექცია: როგორ დაწეროთ საგრანტო პროექტი (პროექტის ზოგადი სტრუქტურა, აქტუალობის გამოყოფა, კვლევის მიზნებისა და მეთოდების მკაფიო აღწერა, პროექტში დასაქმებული პერსონალის ოპტიმალური შერჩევა და მათი კომპენტენციების სწორი ხაზგასმა პროექტის მიზნების კონტექსტში. კვლევითი პროექტის შეფასება და კრიტერიუმები). (პრაქტიკული დავალება: პროექტის შედგენა და შეფასება). |
| 5 | ლექცია: როგორ დაწეროთ სამეცნიერო სტატია (სტატიის ზოგადი სტრუქტურა, აქტუალობის და სიახლის გამოყოფა, მეთოდოლოგიის აღწერა და კვლევის შედეგების წარმოჩენა, კვლევის შედეგების მნიშვნელობა). |
| 6 | ლექცია: რა არის მკვლევარის ბიბლიომეტრია, მეცნიერების აუდიტი (საძიებო სისტემები; არქივთან მუშაობა). |
| 7 | ლექცია: ინტელექტუალური საკუთრების მარკეტინგი (საერთაშორისო რეგულაციები ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში, ინტელექტუალური საკუთრება როგორც მარკეტინგის ობიექტი, ინოვაციური პროდუქტის მარკეტინგის თავისებურებანი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე). |
| 8 | ლექცია: ინოვაციური ეკონომიკა (კლასიკური ბაზრის გარდაქმნა თანამედროვე ბაზრად, ინდუსტრიალურიდან ტექნოლოგიური ტიპის წარმოების ორგანიზაციაზე გადასვლა, მეწარმეობა High-Tech სფეროში). |
| 9 | ლექცია: ტექნოლოგიური ბიზნესი (ტექნოლოგიური ბიზნესის სტიმულირება და საერთაშორისო ტექნოლოგიური ტრანსფერი). |
| 10 | ლექცია: ინოვაციური მართვის მეთოდოლოგია (ინოვაციური საქმიანობის განვითარება, ხელმძღვანელობა და მართვა, ინოვაციური მართვის განსაკუთრებულობები). |
| 11 | ლექცია: ინოვაციური ბიზნესის ინფრასტრუქტურა (სამართლებრივი ინფრასტრუქტურა, საორგანიზაციო და საინფორმაციო უზრუნველყოფა, სპეციალიზირებული საინოვაციო ცენტრები, ბიზნესინკუბატორები). |

| | |
|----|--|
| 12 | <p>ლექცია: საფინანსო ინსტიტუტები და ტექნოლოგიის კომერციალიზაციის მაგალითი (სპეციალიზებული ფონდები, სამთავრობო მხარდაჭერა, მუნიციპალური მხარდაჭერა).</p> |
| 13 | <p>ლექცია: როგორ გავყიდოთ ტექნოლოგია (ტექნოლოგიის კომერციული პერსპექტივის მარკეტინგული შეფასება და მისი საბაზრო მახასიათებლები, ტექნოლოგიის გაყიდვის გადაწყვეტილების მიღება, ტექნოლოგიის ფასის განსაზღვრის მეთოდები და ოპტიმალური მყიდველის შერჩევა, მოლაპარაკებების სტრატეგია და ტექნოლოგიის გადაცემის სქემები).</p> |
| 14 | <p>ლექცია: ტექნოლოგიური აუდიტი (ტექნოლოგიური აუდიტის მიზნები, აუდიტორული ჯგუფისთვის ექსპერტების შერჩევა, ტექნოლოგიური აუდიტის პროცედურა, იდეის შერჩევა, კომპანიის შერჩევა).</p> <p>პრაქტიკული დავალება გამოცდისთვის: ტექნოლოგიური აუდიტის ჩატარება რომელიმე კვლევით ჯგუფში.</p> |
| 15 | <p>ლექცია: შემაჯამებელი შეხვედრა (მასალის მიმოხილვა, დიალოგი).</p> |